



2022

სს სადაზღვევო კომპანია ტაო

**ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ინგლისური ორიგინალის თარგმანი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 7
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:

1. კომპანია და მისი საქმიანობა	10
2. მომზადების საფუძვლები	10
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	11
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები	18
5. ახალი ან შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება და სააღრიცხვო პოლიტიკასა და ინფორმაციის გაცხადების წესში შესული ცვლილებები	22
6. წმინდა გამომუშავებული პრემია	26
7. ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები	27
8. წმინდა ცვლილება სადაზღვევო ზარალების რეზერვებში	27
9. შემოსავალი რეგრესიდან და გადარჩენილი ქონების რეალიზაციიდან	28
10. აკვიზიციური ხარჯები	28
11. წმინდა საპროცენტო შემოსავალი	28
12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	29
13. მოგება საკურსო სხვაობიდან	29
14. მოგების გადასახადი	29
15. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	30
16. მოთხოვნები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	30
17. სადაზღვევო მოთხოვნები	31
18. სხვა აქტივები	32
19. გაცემული სესხები	32
20. სხვა ფინანსური აქტივები	32
21. წინასწარ გადახდები	33
22. სხვა ვალდებულებები	33
23. ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან	33
24. სააქციო კაპიტალი	35
25. პირობითი ვალდებულებები	35
26. რისკების მართვა	36
27. კაპიტალის მართვა	43
28. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები	44
29. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები	44
30. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	46

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს სადაზღვევო კომპანია ტაოს დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „სადაზღვევო კომპანია ტაოს“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესსს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ვვარაუდობთ, რომ მმართველობითი ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში

ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის 2022 წლის მმართველობის ანგარიშის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით („კანონი“) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენ ჩავატარებთ გარკვეულ პროცედურებს, რომლებიც საჭირო იქნება კომპანიის მმართველობითი ანგარიშის საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობის დასადგენად და მოსაზრება მასთან დაკავშირებით გაიცემა ცალკე.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად; რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის

შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამონვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამონვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;


- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დაგვეგმოს კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

კომპანიის მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვანვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

18 აპრილი, 2023

შპს „არესემ საქართველო“ სახელით

გარიგების პარტნიორი: ალი მურთვა

RSM Georgia


სს სადაზღვევო კომპანია ტაო
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
მოზიდული პრემია	6	4,071	4,697
გადამზღვევლის კუთვნილი პრემია	6	-	-
წმინდა მოზიდული პრემია		4,071	4,697
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილება	6	663	168
გადაზღვევის წილი გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილებაში	6	-	-
წმინდა გამოუმუშავებელი პრემია	6	4,734	4,865
ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები	7	(2,644)	(4,108)
წმინდა ცვლილება სადაზღვევო ზარალების რეზერვებში	8	(156)	1,999
წმინდა ზარალები		(2,800)	(2,109)
შემოსავალი რეგრესიდან და გადარჩენილი ქონების რეალიზაციიდან	9	252	462
აკვიზიციური ხარჯები	10	(184)	(292)
სადაზღვევო საქმიანობის შედეგი		2,002	2,926
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	11	1,155	1,205
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(371)	(385)
წმინდა მოგება ზარალი საკურსო სხვაობიდან	13	(82)	(259)
შემოსავალი ჯარიმებიდან		34	43
წმინდა ცვლილება სადაზღვევო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხში		(5)	29
მოგება დაბეგვრამდე		2,733	3,559
მოგების გადასახადი	14	(356)	(568)
წლის წმინდა მოგება		2,377	2,991
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		2,377	2,991

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 18 აპრილს:



ლაშა ხახუტაიანი
 გენერალური დირექტორი




თეა შვიდიძე
 რეპორტიზის მენეჯერი


სს სადაზღვევო კომპანია ტაო
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით
 (ათას ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	15	539	661
მოთხოვნები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	16	9,334	8,300
სადაზღვევო მოთხოვნები	17	1,523	1,937
გაცემული სესხები	19	-	424
სხვა ფინანსური აქტივები	20	200	200
წინასწარ გადახდები	21	87	112
გადავადებული აკვიზიციის ხარჯები	10	58	122
სხვა აქტივები	18	439	235
აქტივი გამოყენების უფლებით		12	19
არამატერიალური აქტივები		1	1
სულ აქტივები		12,193	12,011
ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები	22	342	517
ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან	23	1,894	2,401
საიჯარო ვალდებულება		19	32
სულ ვალდებულებები		2,255	2,950
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	24	2,500	2,500
გაუნაწილებელი მოგება		7,438	6,561
სულ კაპიტალი		9,938	9,061
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		12,193	12,011

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 18 აპრილს:



ლაშა ხახუტაიშვილი
 გენერალური დირექტორი



თეა შავიძე
 რეპორტინგის მენეჯერი

სს სადაზღვევო კომპანია ტაო
 კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

	სააქციო კაპიტალი (24-ე შენიშვნა)	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2020	2,500	9,070	11,570
წლის სრული შემოსავალი	-	2,991	2,991
გადახდილი დივიდენდები	-	(5,500)	(5,500)
31 დეკემბერი 2021	2,500	6,561	9,061
წლის სრული შემოსავალი	-	2,377	2,377
გადახდილი დივიდენდები	-	(1,500)	(1,500)
31 დეკემბერი 2022	2,500	7,438	9,938

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 18 აპრილს:



ლაშა ხახუტაიანი
 გენერალური დირექტორი



თეა შავიძე
 რეპორტირების მენეჯერი

სს სადაზღვევო კომპანია ტაო
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მიღებული სადაზღვევო პრემია		3,946	4,789
გადამზღვევისათვის გადახდილი თანხები			
გადახდილი სადაზღვევო ზარალები		(2,375)	(4,032)
გადახდილი აკვიზიციური ხარჯები		(279)	(229)
გადახდილი ხელფასები და სარგებელი		(38)	(66)
შემოდინება რეგრესიდან და გადარჩენილი ქონების რეალიზაციიდან		317	799
მიღებული პროცენტები		687	2,103
გადახდილი გადასახადი, მოგების გადასახადის გარდა		(15)	(16)
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები		(92)	(93)
საიჯარი ვალდებულებებზე გადახდილი პროცენტი		(4)	-
წმინდა ცვლილება სხვა საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში		14	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		2,161	3,255
მოგების გადასახადის გადახდამდე		(638)	(448)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:		1,523	2,807
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
სესხის გაცემა		(585)	(2,391)
გაცემული სესხის ძირის დაფარვებიდან მიღებული შემოსავალი		1,009	6,201
საბანკო ანაზრებზე თანხების განთავსება		(4,160)	(7,631)
საბანკო ანაზრების თანხების გამოტანა		3,600	6,413
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული		(136)	2,592
(გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები			
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:			
გადახდილი დივიდენდი	24	(1,500)	(5,500)
იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებების დაფარვა		(9)	-
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(1,509)	(5,656)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	15	661	918
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	13	-	(156)
წმინდა ცვლილება ფულად სახსრებში და მათ ეკვივალენტებში		(122)	(257)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	15	539	661

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 18 აპრილს:



ლაშა ხახუტაიშვილი
 გენერალური დირექტორი



თევა შვავიძე
 რეპორტირების მენეჯერი

სს სადაზღვევო კომპანია ტაო

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

1. კომპანია და მისი საქმიანობა

სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დარეგისტრირებული სააქციო საზოგადოება. კომპანია დაფუძნდა 2007 წლის 22 აგვისტოს და მომხმარებლებს სთავაზობს სხვადასხვა სადაზღვევო პროდუქტს. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი, ბერბუკის ქუჩა, N1, სართული 3, კომერციული ფართი N 12.

2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქციონერია სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“ - 100%, რომლის ერთპიროვნული მფლობელია სს „ა გრუფი“, ხოლო საბოლოო მაკონტროლებელი 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შებლუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „ჯორჯია კაპიტალი“ (დაფუძნებულია გაერთიანებულ სამეფოში და მისი აქციები განთავსებულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე).

კომპანიას სადაზღვევო ლიცენზია მიენიჭა 2007 წლის 27 აგვისტოს, ლიცენზიის სერტიფიკატების ნომრებია #NL012 (არა სიცოცხლის) და #L012 (სიცოცხლის), რომლებიც გაცემულია სსიპ „საქართველოს სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ“.

კომპანიის მმართველი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება, ხოლო საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრებს ირჩევს აქციონერთა საერთო კრება. აქციონერთა საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ არაუგვიანეს 2 თვისა გარე აუდიტორის დასკვნის გამოცემიდან.

ყოველდღიური აქტივობები კომპანიაში კონტროლდება გენერალური დირექტორის მიერ. 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის გენერალური დირექტორია ლაშა ხახუტაიშვილი.

2. მომზადების საფუძვლები

ზოგადი ინფორმაცია

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

კომპანია იყენებს ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტების“ დროებითი განთავსუფლების მიდგომას, შესაბამისად, კომპანიას დაგეგმილი აქვს, რომ ფასს 9 სრულად დანერგოს 2023 წლის 1 იანვრიდან.

თანხები მოცემულია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში ლარში და დამრგვალებულია ათასამდე თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, კომპანიის მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ და საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

კომპანიამ მოახდინა არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივის შეფასება და შედეგად, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
1 USD/GEL	2.7020	3.0976
1 EUR/GEL	2.8844	3.5040
საშუალო კურსი წლის განმავლობაში იყო შემდეგი:	2022	2021
1 USD/GEL	2.9156	3.2209
1 EUR/GEL	3.0792	3.8140

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით.

სადაზღვევო ხელშეკრულებები

სადაზღვევო ხელშეკრულებები წარმოადგენს ისეთ ხელშეკრულებებს, რომლებიც გაფორმების მომენტისთვის ატარებს მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს, ან ისეთ ხელშეკრულებებს, რომელიც გაფორმების მომენტისთვის შეიცავს კომერციული შინაარსის ისეთ სცენარს, რომლის მიხედვითაც დაზღვევის რისკი შეიძლება მნიშვნელოვანი მოცულობის იყოს. სადაზღვევო რისკის მნიშვნელოვანი მოცულობა დამოკიდებულია, როგორც დაზღვეული მოვლენის მოხდენის ალბათობაზე, ისე მისი შესაძლო ზემოქმედების მასშტაბზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მას შემდეგ, რაც ხელშეკრულებას მიაკუთვნებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კატეგორიას, იგი სადაზღვევო ხელშეკრულებად რჩება დარჩენილი ვადის განმავლობაში, მაშინაც კი, თუ ამ ხნის მანძილზე სადაზღვევო რისკი საგრძნობლად შემცირდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ყველა უფლება-მოვალეობა შესრულდება ან მათი ვადა ამოიწურება.

მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან

დაზღვევიდან და გადაზღვევიდან მისაღები მოთხოვნების აღიარება ხორციელდება სადაზღვევო პოლისის პირობების საფუძველზე და თვითღირებულებით. დაზღვევიდან და გადაზღვევიდან მოთხოვნების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურება მოწმდება მაშინ, თუ რაიმე მოვლენები ან გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ საბალანსო ღირებულების მიღება შეიძლება ვერ მოხერხდეს, და გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

მოთხოვნები გადაზღვევიდან ძირითადად გულისხმობს სადაზღვევო და გადამზღვეველი კომპანიებისგან მისაღებ ნაშთებს, რომელიც წარმოიშვა სადაზღვევო ვალდებულებების გადაცემის სანაცვლოდ. გადაზღვევის პრემიის შემოსავლად აღიარება ხდება იმავე წესით, როგორც მოხდებოდა, გადაზღვევა პირდაპირ გარიგებად რომ ითვლებოდა, გადაზღვევის პროდუქტების კლასიფიკაციის შესაბამისად. გადამზღვევლებისთვის გადასახდელი თანხები გამოითვლება შესაბამისი გადამზღვევლის პოლიტიკისა და გადაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით. გადაცემული პრემიები და გადახდილი მოთხოვნები წარმოდგენილია მთლიანი (ბრუტო) თანხებით.

გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ხორციელდება სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებების გადაცემული წილის გაუფასურების ტესტირება. სადაზღვევო დებიტორული დავალიანება უფასურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ კომპანიამ შეიძლება ვერ მიიღოს ხელშეკრულების მიხედვით ყველა მისაღები თანხა და რომ ამის გამოწვევა სათანადოდ შეიძლება.

ვალდებულებები სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან

სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებები მოიცავს გადასახდელი სადაზღვევო ზარალების რეზერვს და გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვს. გადასახდელი სადაზღვევო ზარალების რეზერვი განისაზღვრება ყველა მომხდარი, მაგრამ დაურეგულირებელი სადაზღვევო შემთხვევის საბოლოო ხარჯის შეფასების შესაბამისად, მასთან დაკავშირებული მოთხოვნების დარეგულირების ხარჯებსა და მოსალოდნელ ნარჩენ და სხვა სალიკვიდაციო ღირებულებებზე დაყრდნობით. ასეთი შემთხვევები შეიძლება იყოს განცხადებული (RBNS) ან განუცხადებელი (IBNR). განცხადებასა და დარეგულირებას შორის არსებული დროის პერიოდის გამო, საბოლოო ხარჯი დაზუსტებით არ არის ცნობილი საანგარიშგებო თარიღში. მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის (IBNR) დათვლა ხდება წარსული სტატისტიკიდან გამომდინარე.

გამომუშავებელი პრემიის რეზერვი (UPR) წარმოადგენს მიღებული ან მისაღები პრემიის იმ ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია საანგარიშგებო თარიღისთვის ამოუწურავ რისკებთან. UPR აღიარდება კონტრაქტის გაფორმებისას, ამ კონტრაქტის ვადის განმავლობაში მისაღები პრემიის ოდენობით.

ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ზოგად ვალდებულებებს შეადგენს ანგარიშგების თარიღისთვის მომხდარი, მაგრამ დაურეგულირებელი ყველა მოთხოვნის ერთიანი ხარჯი იმისდა მიუხედავად, განცხადებულია, თუ არა, ასევე მასთან დაკავშირებული მოთხოვნების დარეგულირების ხარჯები და მოსალოდნელი ნარჩენი და სხვა სალიკვიდაციო ღირებულების შემცირება. ვალდებულების გაანგარიშება ხდება საანგარიშგებო თარიღით, ფაქტობრივი მოთხოვნების პროგნოზირების სტანდარტული მეთოდებისა და არსებული დაშვებების გამოყენებით ვალდებულება არ დისკონტირდება ფულის დროით ღირებულებასთან მიმართებაში. არ ხდება კატასტროფული შემთხვევების რეზერვის აღიარება. ვალდებულების ჩამოწერა ხდება მისი დაფარვის მოთხოვნის ვადის გასვლის, შეწყვეტის ან გაუქმებისას.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

რეზერვის აღიარება ხდება ხელშეკრულების ძალაში შესვლისას და პრემიის დარიცხვისას და აღირიცხება, როგორც შემოსავალი პრემიიდან ხელშეკრულების პერიოდში, ხელშეკრულების სადაზღვევო სქემის შესაბამისად. ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის აქტიურ პოლისებზე გამოუმუშავებელი პრემიის საბალანსო ღირებულება გამოითვლება სადაზღვევო პერიოდსა და თითოეული სადაზღვევო პოლისის ვადის ამოწურვამდე დარჩენილი დროის საფუძველზე. კომპანია ამოწურავ რისკს განიხილავს ცალკეული ბიზნეს მიმართულებების წარსული საქმიანობის საფუძველზე, რათა განსაზღვროს საერთო ცვლილება მოსალოდნელ მოთხოვნებში. სხვაობა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვს, ზარალის რეზერვსა და მოსალოდნელ სადაზღვევო მოთხოვნებს შორის აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ვალდებულების ადეკვატურობის ტესტი

ვალდებულების ადეკვატურობის შემოწმება ხდება იმისათვის, რომ დადგინდეს:

ა) აღემატება თუ არა მოსალოდნელი წმინდა ზარალები (გადაზღვევის, სუბროგაციისა ზარალის შედეგად დასაკუთრებული აქტივების ღირებულების გათვალისწინებით) მოტორის პროდუქტისთვის მიმდინარე ზარალების საბალანსო ღირებულებას. თუ ვალდებულებები არ არის ადეკვატურად შეფასებული, ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალის უწყისში.

ბ) აქტუარული შეფასებით გადათვლილი მომავალი მოსალოდნელი ზარალიანობის კოეფიციენტი აღემატება თუ არა ამოწურავი რისკის (გამომუშავებელი პრემიის რეზერვი გადავადებული აკვიზიციური ხარჯების გამოკლებით) მიმდინარე საბალანსო ღირებულებას. თუ მოსალოდნელი ზარალიანობის კოეფიციენტი მიუთითებს გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის (გადავადებული აკვიზიციური ხარჯების გამოკლებით) არაადეკვატურობაზე, გადავადებული აკვიზიციური ხარჯების საბალანსო ღირებულება მცირდება და საჭიროების შემთხვევაში, გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი იზრდება იმ ღირებულებამდე, სანამ რეზერვების ღირებულება არ გახდება ადეკვატური.

გადავადებული აკვიზიციური ხარჯები

გადავადებული აკვიზიციური ხარჯები კაპიტალიზდება და ამორტიზდება წრფივი მეთოდით კონტრაქტის მოქმედების პერიოდის განმავლობაში. პრემიების მოზიდვის ყველა სხვა ხარჯის აღიარება ხდება ხარჯად მათი განწვევითანავე. გადავადებული აკვიზიციური ხარჯები მოიცავს გაყიდვების აგენტების პოლისების გაცემისთვის გადახდილ საკომისიოს.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულისგან, მიმდინარე საბანკო ანგარიშებისა და საბანკო ანაბრებისგან, რომელთაც აქვთ განთავსებიდან სამი თვის ვადა და არ აქვთ სახელშეკრულებო ვალდებულებები.

ფინანსური აქტივები

ბასს 39-ის სტანდარტის შესაბამისად, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მოთხოვნებად, დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებულ ფასიან ქაღალდებად ან გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად. ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები მხოლოდ იმ ინვესტიციების შემთხვევაში, რომელიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში. კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი პირველადი აღიარებისას.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სესხები და მისაღები მოთხოვნები

სესხები და მისაღები მოთხოვნები არის არანარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ამ ფინანსური აქტივების აღიარება თავდაპირველად ხდება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს ფინანსური აქტივის შესაძენად გადახდილი საზღაურის სამართლიან ღირებულებას. ფინანსური აქტივის თვითღირებულებაში შედის მის შეძენასთან უშუალოდ დაკავშირებული ყველა გარიგების დანახარჯი. პირველადი აღიარების შემდეგ სესხები და მისაღები პროცენტები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება სესხების და მისაღები მოთხოვნების აღიარების შეწყვეტის ან გაუფასურების შემთხვევაში, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

რეგრესი და სხვა მისაღები მოთხოვნები აღიარებულია მათი პირველადი, ეფექტური ღირებულებით. თუ ფულის დროითი ღირებულება არსებითია, მისაღები ანგარიშების აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით.

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და სურვილი, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. შემოსავალი და ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში არ გაიქვითება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, რომლის შესახებაც საგანგებოდ მიეთითება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი

კომპანია თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, გაუფასურდა თუ არა ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი.

თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების გაუფასურების შედეგად წარმოიქმნა ზარალი, ზარალის ოდენობა განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას შორის (გარდა სამომავლო დანაკარგებისა კრედიტზე, რომლებსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია), რომლებიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ანუ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომლის გაანგარიშებაც მოხდა პირველადი აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ოდენობის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული აქტივები

დაგირავებული ფინანსური აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულების გამოთვლა ასახავს ფულად ნაკადებს, რომლებიც გამომდინარეობს დაგირავებული ქონების გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევიდან, რომელსაც აკლდება უზრუნველყოფის საგნის მიღებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები, იმისდა მიუხედავად, მოსალოდნელია თუ არა უზრუნველყოფის საგნის გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევა.

კომპანია ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივების შემთხვევაში ინდივიდუალურად, ხოლო ინდივიდუალური მნიშვნელობის არმქონე ფინანსური აქტივების შემთხვევაში ინდივიდუალურად ან ერთობლიობაში აფასებს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი. თუ დადგინდა, რომ ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის (განურჩევლად იმისა, მნიშვნელოვანია ის თუ არა) გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს, ეს აქტივი შევა მსგავსი საკრედიტო რისკების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფში და ფინანსური აქტივების ეს ჯგუფი გაუფასურებასთან მიმართებაში ფასდება ერთობლივად. აქტივები, რომელთა გაუფასურება

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფასდება ინდივიდუალურად და რომელთათვისაც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ შედის გაუფასურებასთან მიმართებაში აქტივების ერთობლივად შეფასების პროცესში. თუ მომდევნო პერიოდში, გაუფასურებით გამოწვეული ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების შემდეგ მომხდარ მოვლენას, ხდება მანამდე აღიარებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღდგენა. გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ნებისმიერი შემდგომი აღდგენის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ისე, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს მის ამორტიზებულ ღირებულებას აღდგენის თარიღისთვის. უიმედო აქტივი ჩამოიწერება გაუფასურების შესაბამისი რეზერვიდან ყველა საჭირო პროცედურის ჩატარებისა და ზარალის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო შესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი ან კონტროლი აქტივზე, კომპანიის მიერ აქტივის აღიარება ხდება მონაწილეობის შენარჩუნების პირობით. მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი ხელშეკრულების დაწყებისას რომელიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ, კომპანიამ უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.

იჯარა განიშარტება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ

ამ განმარტების გამოსაყენებლად კომპანიამ უნდა შეაფასოს:

ა) კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ბ) ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან არსებითი სარგებლის მიღების უფლება. აქტივის გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის უმეტესი წილის მიღების უფლების არსებობის შეფასებისას, საწარმომ ეკონომიკური სარგებლის ის სახეები უნდა განიხილოს, რომლებიც აქტივის გამოყენებით მიიღება აქტივის გამოყენებაზე მომხმარებლის უფლებებისთვის დადგენილ გარკვეულ საზღვრებში. კომპანია განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; მოიჯარის მიერ განეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარტებს და იმ დანახარტების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარტები განეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარტების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

მოიჯარემ აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ აღნიშნული განაკვეთი არ არის ხელმისაწვდომი მოიჯარემ უნდა გამოიყენოს ზღვრული სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: ზრდის ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით; ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვით; და თავიდან აფასებს საბალანსო ღირებულებას საიჯარო გადახდების ცვლილებების შემთხვევაში.

მოიჯარის მიერ საიჯარო ვალდებულების თავიდან შეფასებისას კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აქტივის გამოყენების უფლება ნულის ტოლია, მოიჯარემ მოგება/ზარალში უნდა აღიაროს ნებისმიერი მოდიფიკაცია.

კომპანიამ გადანაცვით გამოიყენოს განთავისუფლების უფლება და მოკლევადიან იჯარასთან, ან დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღიაროს ხარტის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აქტივის გამოყენების უფლება შესაძლოა აღირიცხოს ძირითად საშუალებებში ან განცალკევებულად, ხოლო საიჯარო ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ან განცალკევებულად.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი გამოითვლება მოქმედი ან ანგარიშგების თარიღის დღეს ძალაში შესული საგადასახადო განაკვეთით. დასაბეგრი მოგება სააღრიცხვო მოგებისგან განსხვავდება იმ მიზეზის გამო, რომ ზოგი შემოსავალი და ხარჯი არასდროს იბეგრება ან იქვითება, ან მათი დაბეგვრის ან დაქვითვის დროის მონაკვეთი განსხვავებულია მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობისა და სააღრიცხვო მიდგომების თვალსაზრისით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ვალდებულებათა მეთოდით, გადავადებული გადასახადის აღიარება ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და შესაბამის საგადასახადო ბაზას შორის ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით.

გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება იმ საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც მოსალოდნელია აქტივის რეალიზების ან ვალდებულების დაფარვის პერიოდისათვის იმ სადაზღვევო სქემის შესაბამისად. ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის საგადასახადო განაკვეთის (და საგადასახადო კანონმდებლობის) საფუძველზე, რომელიც ძალაში შევიდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარდება მხოლოდ იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად თვლის კომპანია (უფრო სავარაუდოა ვიდრე არა), რომ იმავე საგადასახადო იურისდიქციის ფარგლებში მას ექნება საკმარისი დასაბეგრი მოგება აქტივის უტილიზაციისთვის.

პერიოდის განმავლობაში მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი წარმოიშვა ტრანზაქციიდან ან გარემოებებიდან, რომლებიც აღირიცხა სხვა სრული შემოსავლის ან პირდაპირ კაპიტალის მუხლში.

სარეზერვო და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე თუ პრაქტიკიდან გამომდინარე ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სანდოდ განსაზღვრა.

თუ კომპანია მოელის დარეზერვებული თანხის დაფარვას, მაგალითად სადაზღვევო ხელშეკრულების მიხედვით, დაფარვა აღიარდება ცალკე აქტივად, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ ანაზღაურება რეალურად არის მოსალოდნელი.

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია.

კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც სააქციო კაპიტალი. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები გაცხადდება მაშინ, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

მოზიდული პრემია და გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი

ბრუტო სადაზღვევო მოზიდული პრემია შედგება საანგარიშგებო პერიოდში გაფორმებული კონტრაქტების მოქმედების მთლიანი პერიოდის განმავლობაში მისაღები პრემიისგან. მათი აღიარება ხდება პოლისის ამოქმედების თარიღში. ეს პრემია მოიცავს წინა სააღრიცხვო პერიოდებში მოზიდული პრემიის კორექტირებას, რომელიც განხორციელდა მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში.

გამომუშავებელი პრემია არის წლის განმავლობაში მოზიდული პრემიის ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია საანგარიშგებო თარიღის შემდეგ არსებულ რისკის პერიოდებთან. გამოუმუშავებელი პრემია გამოითვლება ყოველდღიური სიხშირით პროპორციულად. მომდევნო პერიოდებთან დაკავშირებული პროპორცია გადავადებულია, როგორც გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი.

სადაზღვევო ზარალები

სადაზღვევო ზარალები მოიცავს ყველა იმ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარ ზარალს, რომელიც მოხდა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, ისინი იყო განცხადებული თუ არა. ამ ზარალების გამოთვლისას გაითვალისწინება მათი დარეგულირების პირდაპირი ხარჯები, ანაზღაურებები (რეგრესი, გადარჩენილი ქონება) და წინა პერიოდების ზარალების კორექტირება.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამონმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოინერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგების ხარჯებში გატარებით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას შორის უმეტესი.

ერთობლივი საქმიანობა: ერთობლივი ოპერაცია

ერთობლივი საქმიანობა ისეთი საქმიანობაა, რომელსაც ერთობლივად აკონტროლებს ორი ან მეტი მხარე. ერთობლივი ოპერაცია ისეთი ერთობლივი საქმიანობაა, რომლის დროსაც მხარეებს, რომლებიც ერთობლივ კონტროლს ახორციელებენ საქმიანობაზე, გააჩნიათ ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ აქტივებზე უფლებები და პასუხისმგებლობა - ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე (განსხვავებით ერთობლივი საწარმოსგან, სადაც მხარეებს აქვთ უფლებები საქმიანობის წმინდა აქტივებზე). როდესაც ჯგუფი არის ერთობლივი ოპერატორი ერთობლივ ოპერაციაში, ის ამ ოპერაციაში მისი ინტერესის გათვალისწინებით აღიარებს: (ა) თავის აქტივებს, მათ შორის თავის წილს ერთობლივ აქტივებში; (ბ) თავის ვალდებულებებს, მათ შორის თავის წილს ერთობლივად აღებულ ვალდებულებებში; (გ) თავის ამონაგებს, რომელიც მიიღო ერთობლივი ოპერაციის შედეგად წარმოებული პროდუქციის თავისი წილის გაყიდვიდან; (დ) თავის წილს ერთობლივი ოპერაციის შედეგად წარმოებული პროდუქციის გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებში; და (ე) თავის ხარჯებს, მათ შორის თავის წილს ერთობლივად გაწეულ ხარჯებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულება

დაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულების საერთო მოცულობა კომპანიის ყველაზე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებაა. არსებობს უზუსტობის რამდენიმე მიზეზი, რისი გათვალისწინებაც აუცილებელია კომპანიის მიერ ამ ზარალის ასანაზღაურებლად გადახდილი ვალდებულების შეფასებისას.

შეფასებები უნდა გაკეთდეს როგორც ანგარიშგების თარიღისთვის გაცხადებული ზარალის მოსალოდნელი ოდენობის, ისე ანგარიშგების თარიღისთვის მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის მოსალოდნელი საერთო მოცულობის შესახებ. ზარალის საერთო მოცულობის ზუსტად დადგენას შეიძლება გარკვეული დრო დასჭირდეს. ზოგად დაზღვევასთან დაკავშირებული ზარალის რეზერვის დისკონტირება არ ხდება ფულის დროითი ღირებულების გასათვალისწინებლად.

მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის საერთო ხარჯი გამოითვლება ზარალის პროგნოზირების სტანდარტული აქტუარული მეთოდების გამოყენებით, მათ შორის ე. წ. ჯაჭვისებური კიბის მეთოდით; ამ მეთოდის ძირითადი საფუძველია ის დაშვება, რომ კომპანიის წარსულში დაგროვილი ზარალის დინამიკის გამოყენება შესაძლებელია სამომავლო ზარალის დინამიკისა და, შესაბამისად, ზარალის მთლიანი მოცულობის პროგნოზირებისთვის. ეს მეთოდები პროგნოზისთვის ახდენს გადახდილი და მომხდარი ზარალის, თითოეული მოთხოვნის საშუალო მოცულობისა და მოთხოვნების რაოდენობის ექსტრაპოლაციას გასული წლის ყოველთვიურ ტენდენციებზე და ასევე მოსალოდნელი ზარალის კოეფიციენტებზე დაყრდნობით.

სადაზღვევო დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი

გაუფასურების შესაფასებლად კომპანია რეგულარულად ამოწმებს მოთხოვნებს დაზღვევიდან. სააღრიცხვო მიზნებისთვის კომპანია ფინანსური აქტივების გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღიარებისთვის იყენებს განცდილი ზარალის მოდელს.

რაც იმას ნიშნავს, რომ ზარალის აღიარება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კონკრეტული ზარალის დადგომის შემთხვევის ობიექტური მტკიცებულება. გამომწვევ მიზეზებს შორისაა კლიენტის ფინანსური სირთულეები და/ან ხელშეკრულების პირობების, მაგალითად გადახდის პირობის დარღვევა. რეზერვის მოცულობა მცირდება დავალიანების იმ თანხით, რომლის ამოღებასაც კომპანია საფუძვლიანად ვარაუდობს. ხელმძღვანელობის განსჯით, წარსულ ტენდენციებზე დაყრდნობით შეიძლება ზარალის პროგნოზირება და ამ მეთოდის გამოყენება შეიძლება ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის ამოღებადი დავალიანების მოცულობის შესაფასებლად.

შეფასება იმისა, თუ რამდენად არის კომპანიის საქმიანობა დაკავშირებული დაზღვევასთან

ფასს 9-ის გამოყენებიდან დროებითი გადავადების უფლება ვრცელდება იმ კომპანიებზე, რომელთა ძირითადი საქმიანობა დაკავშირებულია დაზღვევასთან. გადავადების უფლების დამაკმაყოფილებლობის შეფასება ხდება ანგარიშგების წარმდგენი კომპანიის დონეზე და ვრცელდება მის ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებაზე.

კომპანიამ გადაწყვიტა ფასს 9-ის გამოყენება გადაავადოს ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღამდე, 2023 წლის 1 იანვრამდე, იმის საფუძველზე, რომ:

- კომპანიას აქამდე არ გამოუყენებია ფასს 9-ის სტანდარტი და
- კომპანიის ძირითადი საქმიანობა დაკავშირებულია დაზღვევასთან.

ფასს 4-ის მიხედვით, მზღვეველის საქმიანობა დაკავშირებულია დაზღვევასთან თუ:

- ა) ფასს 4-ის ფარგლებში აღრიცხული ვალდებულებების საბალანსო ღირებულება (რომელიც მოიცავს ნებისმიერი ტიპის დეპოზიტის კომპონენტს ან/და ჩართულ წარმოებულ ინსტრუმენტებს განცალკევებულს სადაზღვევო კონტრაქტებისგან) არის მთლიანი ვალდებულებების ძირითადი ნაწილი და

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

- ბ) სადაზღვევო საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებების საბალანსო ღირებულება არის მთლიანი ვალდებულებების საბალანსო ღირებულების 1) 90%-ზე მეტი ან 2) 90%-ზე ნაკლები ან ტოლი, მაგრამ 80%-ზე მეტი თუ მზღვეველის ძირითადი საოპერაციო საქმიანობა არ არის დაკავშირებული სადაზღვევოსგან განსხვავებულ საქმიანობასთან.

ფასს 4-ის მიხედვით, სადაზღვევო საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები მოიცავს:

- ა) ფასს 4-თან დაკავშირებული კონტრაქტებიდან წარმოშობილ ვალდებულებებს;
- ბ) მოგება-ზარალის გავლით აღრიცხულ სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ არანარმოებულ საინვესტიციო საკონტრაქტო ვალდებულებებს ბასს 39-ის შესაბამისად;
- გ) ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიშობა რადგან მზღვეველი გამოუშვებს კონტრაქტებს ან ასრულებს ვალდებულებებს, რომლებიც დაკავშირებულია ა) და ბ) ნაწილში მოცემულთან.

ასეთი ვალდებულებები გულისხმობს იმ წარმოებულ ინსტრუმენტებსაც, რომლებიც გამოიყენება აღნიშნული კონტრაქტებიდან წარმოშობილი რისკის მიტიგაციის მიზნებისთვის, მოიცავს იმ აქტივებსაც, რომლებიც ფლობილია აღნიშნული კონტრაქტების უზრუნველყოფის მიზნით, ასევე მოიცავს შესაბამის საგადასახადო ვალდებულებებსაც (მაგალითად, ამ კონტრაქტებთან დაკავშირებული დასაბეგრი დროებითი განსხვავებების შედეგად წარმოშობილ გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებას), სავალო ინსტრუმენტებსაც, რომლებიც გამოშვებულია და მონაწილეობს მზღვეველის საზედამხებდველო კაპიტალში, გადასახდელ ხელფასებთან დაკავშირებულ ვალდებულებებსა და თანამშრომლებისთვის ასანაზღაურებელ სხვა კომპენსაციებს.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სადაზღვევო საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები მოიცავს:

**31 დეკემბერი
 2022**

ფასს 4-ის ფარგლებში აღრიცხული სადაზღვევო ვალდებულებები

ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან	1,894
სადაზღვევო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ვალდებულებები (არა ფასს 4-თან დაკავშირებული)	
გადასახდელი საკომისიოები	195
სადაზღვევო საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები	2,089
სულ ვალდებულებები	2,255
სადაზღვევო საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებების % მთლიან ვალდებულებებთან	93%

კომპანია არ ეწევა სადაზღვევო საქმიანობისგან განსხვავებულ სხვა საქმიანობას, საიდანაც მან შესაძლოა გამოიმუშაოს შემოსავლები და გასწიოს ხარჯები. კომპანიაზე ვრცელდება მზღვეველებთან დაკავშირებული ყველა სარეგულაციო მოთხოვნა და სადაზღვევო რისკი მის მთავარ ბიზნეს რისკს წარმოადგენს. გარდა ამისა, კომპანიისათვის არ არის ცნობილი საჭაროდ გავრცელებული ან სხვა ტიპის ინფორმაცია, რომელმაც შესაძლოა მიუთითოს მარეგულირებლის ან ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლების მხრიდან კომპანიის სხვა ინდუსტრიის ფარგლებში კლასიფიკაციაზე.

მოცემული შეფასების საფუძველზე, კომპანია ასკვნის, რომ 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის კომპანიის ძირითადი საქმიანობა დაკავშირებულია დაზღვევასთან.

5. ახალი ან შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება და სააღრიცხვო პოლიტიკასა და ინფორმაციის გაცხადების წესში შესული ცვლილებები

2022 წელს რამდენიმე ცვლილება და ინტერპრეტაცია მოქმედებს პირველად, მაგრამ გავლენას არ ახდენს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ▶ შესწორებები ბასს (IAS) 37-ში „წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ხარჯები“
- ▶ შესწორებები ფასს (IFRS) 3-ში - „კონცეპტუალური საფუძვლების მითითება“
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 8-ში: „იჭარა - ძირითადი საშუალებები“: შემოსულობა მიზნობრივ გამოყენებამდე
- ▶ ფასს (IFRS) 1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“ - შვილობილი საწარმო, როგორც საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს-ს
- ▶ ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ - ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის „10 პროცენტის“ ტესტში მოყვანილი საკომისიოები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის გამოცემულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა და რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე, მოცემულია ქვემოთ. კომპანია აპირებს ამ სტანდარტების მიღებას მათი ძალაში შესვლისთანავე.

ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“

ფასს 17 ჩაანაცვლებს ფასს 4-ს „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

ცვლილებები კლასიფიკაციასა და შეფასებაში

ფასს 17-ის მიღება არ შეცვლის კომპანიის სადაზღვევო ხელშეკრულებების კლასიფიკაციას.

ფასს 17 ადგენს კომპანიის მიერ გაფორმებული სადაზღვევო ხელშეკრულებების და ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების აღიარების და შეფასების კონკრეტულ პრინციპებს.

ფასს 17-ის მიხედვით, კომპანიის მიერ გაფორმებული სადაზღვევო ხელშეკრულებების და ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების უმეტესობის შეფასება შესაძლებელია პრემიის განაწილების მიდგომის გამოყენებით. პრემიის განაწილების მიდგომა, ფასს 17-ის ზოგად მოდელთან შედარებით, ამარტივებს სადაზღვევო ხელშეკრულებების შეფასებას.

პრემიის განაწილების მიდგომის შეფასების პრინციპები შემდგენიარად განსხვავდება „გამომუშავებული პრემიის მიდგომისგან“, რომელსაც კომპანია ფასს 4-ის მიხედვით იყენებდა:

- ▶ დარჩენილ დაფარვასთან დაკავშირებული ვალდებულება ასახავს მიღებულ პრემიებს, გადავადებული აკვიზიციის ფულადი ნაკადებისა და განუული სადაზღვევო მომსახურებიდან მიღებული ამონაგების სახით აღიარებული თანხების გამოკლებით.
- ▶ დარჩენილ დაფარვასთან დაკავშირებული ვალდებულების შეფასება მოიცავს ფულის დროითი ღირებულების და ფინანსური რისკის ეფექტის შესაბამის კორექტირებას, როდესაც

5. ახალი ან შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება და სააღრიცხვო პოლიტიკასა და ინფორმაციის გაცხადების წესში შესული ცვლილებები (გაგრძელება)

- ▶ პრემიის გადახდის თარიღი და მომსახურების განწევასთან დაკავშირებული პერიოდი 12 თვეზე მეტი ხნით არის ერთმანეთს დაშორებული;
- ▶ დარჩენილ დაფარვასთან დაკავშირებული ვალდებულების შეფასება მოიცავს არაფინანსური რისკის კორექტირების მკაფიო შეფასებას, როდესაც ხელშეკრულებების ჯგუფი წაგებიანია, რათა მოხდეს ზარალის კომპონენტის გამოთვლა (მანამდე ეს შეიძლებოდა ყოფილიყო ამოუწურავი რისკის რეზერვის შექმნის ნაწილი);
- ▶ დამდგარ სადაზღვევო ზარალთან (უწინ აუნაზღაურებელი ზარალი და დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი სადაზღვევო ზარალი) დაკავშირებული ვალდებულების შეფასება განისაზღვრება დისკონტირებული ალბათობით შეწონილი მოსალოდნელი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს არაფინანსური რისკის მკაფიო კორექტირებას. ვალდებულება მოიცავს კომპანიის მიერ ნაკისრ ვალდებულებას, რომ გადაიხადოს სხვა დამდგარი სადაზღვევო ხარჯები;
- ▶ აქტივის დარჩენილი სადაზღვევო დაფარვის შეფასება (რომელიც ასახავს ფლობილი გადაზღვევისთვის გადახდილ გადაზღვევის პრემიებს) კორექტირდება, რათა მოიცავს ზარალის ამოღების კომპონენტი და ასახოს წაგებიან ხელშეკრულებაზე განეული ზარალის მოსალოდნელი ამოღება, თუ ეს ხელშეკრულებები გადაზღვევს წაგებიან პირდაპირ ხელშეკრულებებს.

კომპანია მოახდენს თავისი აკვიზიციის ფულადი ნაკადების კაპიტალიზაციას ყველა პროდუქტის ხაზისთვის.

კომპანია აკვიზიციის ფულად ნაკადებს გადაანაწილებს სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფებზე, რომლებიც უკვე გაფორმებულია ან რომელთა გაფორმება მოსალოდნელია, სისტემატურ და რაციონალურ საფუძველზე. აკვიზიციის ფულადი ნაკადები მოიცავს იმ ნაკადებს, რომლებიც პირდაპირ არის მიკუთვნებადი ჯგუფებისთვის და მომავალი ჯგუფებისთვის, რომელთა წარმოშობა მოსალოდნელია ამ ჯგუფის ხელშეკრულებების განახლების შემთხვევაში. როდესაც ასეთი აკვიზიციის ფულადი ნაკადები გადაიხდება (ან თუ ვალდებულება აღიარებულია სხვა ფასს სტანდარტის გამოყენებით) სადაზღვევო ხელშეკრულებების შესაბამისი ჯგუფის აღიარებამდე, ხდება აკვიზიციის ფულადი ნაკადების აქტივის აღიარება. როდესაც ხდება სადაზღვევო ხელშეკრულებების აღიარება, ხდება აკვიზიციის ფულადი ნაკადების აქტივის შესაბამისი ნაწილის აღიარების შეწყვეტა და შესაბამისი ჯგუფის დარჩენილი დაფარვის სადაზღვევო ვალდებულების საწყისი აღიარებისას შეფასებაში ჩართვა.

ცვლილებები წარდგენაში და განმარტებით შენიშვნებში

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მოსამზადებლად კომპანია ახდენს გაფორმებული სადაზღვევო და გადაზღვევის ხელშეკრულებების და ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების აგრეგირებას, შესაბამისად, და მათ წარმოადგენს ცალ-ცალკე:

- ▶ იმ გაფორმებული სადაზღვევო და გადაზღვევის ხელშეკრულებების პორტფელები, რომლებიც აქტივებია;
- ▶ იმ გაფორმებული სადაზღვევო და გადაზღვევის ხელშეკრულებების პორტფელები, რომლებიც ვალდებულებებია;
- ▶ იმ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების პორტფელები, რომლებიც აქტივებია;

5. ახალი ან შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება და სააღრიცხვო პოლიტიკასა და ინფორმაციის გაცხადების წესში შესული ცვლილებები (გაგრძელება)

- ▶ იმ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების პორტფელები, რომლებიც ვალდებულია.

ზემოაღნიშნული პორტფელები ის პორტფელებია, რომლებიც საწყისი აღიარებისას შესაბამისობაში მოვიდა ფასს 17-ის მოთხოვნებთან.

გაფორმებული სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელები მოიცავს ყოველგვარ აქტივებს აკვიზიციის ფულადი ნაკადებისთვის.

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგების მუხლების აღწერები, მიმდინარე პერიოდთან შედარებით, მნიშვნელოვნად შეიცვლება. ადრე კომპანიამ შემდეგი მუხლები გააცხადა:

- ▶ მთლიანი მოზიდული პრემია;
- ▶ წმინდა მოზიდული პრემია;
- ▶ პრემიის რეზერვების ცვლილება;
- ▶ მთლიანი სადაზღვევო ზარალი;
- ▶ წმინდა სადაზღვევო ზარალი.

ამის ნაცვლად ფასს 17 მოითხოვს შემდეგი მუხლების ცალ-ცალკე წარდგენას:

- ▶ სადაზღვევო ამონაგები;
- ▶ სადაზღვევო მომსახურების ხარჯები;
- ▶ სადაზღვევო ფინანსური შემოსავალი ან ხარჯები;
- ▶ შემოსავალი ან ხარჯები ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან.

კომპანია წარმოადგენს დეზაგრეგირებულ ხარისხობრივ და რაოდენობრივ ინფორმაციას შემდეგის შესახებ:

- ▶ თავის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული თანხები სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან;
- ▶ მნიშვნელოვანი განსჯა და ცვლილებები ამ განსჯაში სტანდარტის გამოყენებისას.

გადასვლა

სტანდარტზე გადასვლის თარიღისთვის, 2023 წლის 1 იანვარს, კომპანია:

- ▶ განსაზღვრავს, აღიარებს და აფასებს სადაზღვევო ხელშეკრულებების თითოეულ ჯგუფს ისე, თითქოს ყოველთვის იყენებდა ფასს 17-ს;
- ▶ განსაზღვრავს, აღიარებს და აფასებს აკვიზიციის ფულადი ნაკადების აქტივებს ისე, თითქოს ყოველთვის იყენებდა ფასს 17-ს;
- ▶ შეწყვეტს ყველა არსებული ნაშთის აღიარებს, რომელიც არ იარსებებდა, ფასს 17 ყოველთვის რომ გამოეყენებინა;
- ▶ აღიარებს ამის შედეგად ყოველგვარ წმინდა სხვაობას საკუთარ კაპიტალში.

ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

5. ახალი ან შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება და სააღრიცხვო პოლიტიკასა და ინფორმაციის გაცხადების წესში შესული ცვლილებები (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 9-მ ჩაანაცვლა ბასს (IAS) 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ამის მიუხედავად, კომპანიამ არჩია, რომ ფასს 4-ის ცვლილებების გამოყენებინა დროებითი გამონაკლისი ფასს 9-დან და ამით ფასს 9-ის თავდაპირველი გამოყენების თარიღი გადანია, რათა ის დამთხვეოდა ფასს 17-ის თავდაპირველ გამოყენებას.

კომპანია ფასს 9-ს გამოიყენებს რეტროსპექტიულად და გადაინაგარიშებს ფასს 9-ის მოქმედების არეალში მოქცეული ფინანსური ინსტრუმენტების შესადარის ინფორმაციას თავის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. ფასს 9-ის მიღების შედეგად წარმოშობილი სხვაობების აღიარება მოხდება გაუნაწილებელ მოგებაში 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

ცვლილებები კლასიფიკაციასა და შეფასებაში

კლასიფიკაციისა და შეფასების კატეგორიის განსაზღვრისთვის ფასს 9 მოითხოვს ყველა ფინანსური აქტივის შეფასებას კომპანიის მიერ ამ აქტივების მართვის ბიზნესმოდელის და ასევე ამ ინსტრუმენტებზე სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების თავისებურებების საფუძველზე.

ბასს 39-ის მიხედვით, ფინანსური აქტივების შეფასების კატეგორიები (სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით), გასაყიდად არსებული, დაფარვის ვადამდე ფლობილი და ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სესხები და მისაღები ანგარიშები), ჩანაცვლდება შემდეგით:

- ▶ სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით, მათ შორის წილობრივი ინსტრუმენტი და წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები;
- ▶ სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, რომლის შემოსულობა ან ზარალი გადაიტანება მოგებაში ან ზარალში აღიარების შეწყვეტისას;
- ▶ სამართლიანი ღირებულებით შეფასებული წილობრივი ინსტრუმენტები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, რომლის შემოსულობა ან ზარალი არ გადაიტანება მოგებაში ან ზარალში აღიარების შეწყვეტისას (არ გამოიყენება კომპანიის მიერ);
- ▶ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები.

გაუფასურების შეფასებაში შესული ცვლილებები

ფასს 9-ის მიღება საფუძვლიანად შეცვლის კომპანიის მიერ სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ან ამორტიზებული ღირებულებით ფლობილი სავალო ინსტრუმენტების გაუფასურების ზარალის აღრიცხვას, რადგან ბასს 39-ის განცდილი ზარალის მიდგომას ჩაანაცვლებს საპროგნოზო (მომავალზე ორიენტირებული) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომით.

ფასს 9-ის მიხედვით, კომპანია ვალდებულია აღრიცხოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ყველა იმ სავალო ინსტრუმენტისთვის, რომლებიც არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სავალო ინსტრუმენტების შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის იმ ნაწილს, რომელსაც განაპირობებდა ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის მოვლენები, რომელთა დადგომა შესაძლებელია საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც აქტივების წარმოშობიდან ან შექმნიდან

5. ახალი ან შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება და სააღრიცხვო პოლიტიკასა და ინფორმაციის გაცხადების წესში შესული ცვლილებები (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, რეზერვი შეიქმნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით.

მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან დაკავშირებით ფასს 9-ის მოთხოვნების მიღება გამოიწვევს კომპანიის სავალ ინსტრუმენტებთან მიმართებით გაუფასურების რეზერვების ზრდას. რეზერვის ზრდის შედეგად შესაბამისი კორექტირებები შევა გაუნაწილებელ მოგებაში.

კომპანიის მოლოდინით, ფასს 9-ის გამოყენება მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ცვლილებები ბასს (IAS) 1-ში: ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

2020 წლის 1 იანვარს ბასსს-მ გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ის „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ 69-76 მუხლებში, რომლებიც აკონკრეტებს ვალდებულებების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიცირების წესებს. ცვლილებები განმარტავს:

- ▶ რა იგულისხმება ანგარიშსწორების გადავადების უფლებაში;
- ▶ რომ გადავადების უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- ▶ რომ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს იმის ალბათობა, გამოიყენებს თუ არა საწარმო გადავადების უფლებას;
- ▶ რომ თუ კონვერტირებად ვალდებულებაში ჩართული წარმოებული ინსტრუმენტი თავად წარმოადგენს წილობრივ ინსტრუმენტს, მხოლოდ ამ შემთხვევაში არ იმოქმედებს ვალდებულების პირობები მის კლასიფიკაციაზე.

სს სადაზღვევო კომპანია ტაო

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

6. წმინდა გამომუშავებული პრემია

წმინდა გამომუშავებული პრემია 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

2022	სახმელეთო ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (ავტოკასკო)	ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა	სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	სხვა	სულ
მთლიანი მოზიდული პრემია	1,467	2,334	120	150	4,071
ცვლილება გამომუშავებელი პრემიის რეზერვში	727	(91)	78	(51)	663
მთლიანი გამომუშავებული პრემია	2,194	2,243	198	99	4,734
მინუს: გადამზღვევის კუთვნილი პრემია მოზიდულ პრემიაში	-	-	-	-	-
ცვლილება გამომუშავებელი პრემიის გადამზღვევის წილში	-	-	-	-	-
წმინდა გამომუშავებული პრემია	2,194	2,243	198	99	4,734

2021	სახმელეთო ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (ავტოკასკო)	ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა	სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	სხვა	სულ
მთლიანი მოზიდული პრემია	3,136	1,275	227	59	4,697
ცვლილება გამომუშავებელი პრემიის რეზერვში	275	(20)	(84)	(3)	168
მთლიანი გამომუშავებული პრემია	3,411	1,255	143	56	4,865
მინუს: გადამზღვევის კუთვნილი პრემია მოზიდულ პრემიაში	-	-	-	-	-
ცვლილება გამომუშავებელი პრემიის გადამზღვევის წილში	-	-	-	-	-
წმინდა გამომუშავებული პრემია	3,411	1,255	143	56	4,865

7. ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები

ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2022	2021
სახმელეთო ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა	2,252	3,884
სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	150	106
ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა	242	118
მგზავრების, მძღოლის ან ეკიპაჟის დაზღვევა უბედური შემთხვევებისაგან	-	-
სულ ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები	2,664	4,108

8. წმინდა ცვლილება სადაზღვევო ზარალების რეზერვებში

წმინდა ცვლილება სადაზღვევო ზარალების რეზერვებში 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

2022	ცვლილება განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების ანარიცხებში	ცვლილება დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების ანარიცხებში	ცვლილება სადაზღვევო ზარალების რეზერვებში
სახმელეთო ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (ავტოკასკო)	95	-	95
სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	-	-	-
ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა	57	4	61
სხვა	-	-	-
სულ წმინდა ცვლილება სადაზღვევო ზარალების რეზერვებში	152	4	156

2021	ცვლილება განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების ანარიცხებში	ცვლილება დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების ანარიცხებში	ცვლილება სადაზღვევო ზარალების რეზერვებში
სახმელეთო ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (ავტოკასკო)	1,997	-	1,997
ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა	16	-	16
სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	22	(16)	6
სხვა	-	-	-
სულ წმინდა ცვლილება სადაზღვევო ზარალების რეზერვებში	2,015	(16)	1,999

სს სადაზღვევო კომპანია ტაო
ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

9. შემოსავალი რეგრესიდან და გადარჩენილი ქონების რეალიზაციიდან

შემოსავალი რეგრესიდან და გადარჩენილი ქონების რეალიზაციიდან 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2022	2021
შემოსავალი რეგრესიდან	199	742
შემოსავალი დაზიანებული აქტივების შეფასებიდან და რეალიზაციიდან	150	424
რეგრესიდან მოთხოვნის გაუფასურების ხარჯი	(97)	(704)
სულ შემოსავალი რეგრესიდან და გადარჩენილი ქონების რეალიზაციიდან	252	462

შემოსავალი რეგრესიდან მოიცავს, პერიოდის განმავლობაში მიღებულ შემოსავალს, რომელიც წარმოიშვა მზღვეველის მიერ რეგრესის უფლების გამოყენების შედეგად.

10. აკვიზიციური ხარჯები

აკვიზიციური ხარჯები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2022	2021
დაზღვევის საკომისიოს ხარჯი	(120)	(375)
სულ აკვიზიციური ხარჯები	(120)	(375)
ცვლილება გადავადებულ აკვიზიციურ ხარჯებში	(64)	83
აკვიზიციური ხარჯები წლის მანძილზე	(184)	(292)

გადავადებული აკვიზიციური ხარჯების მოძრაობის ანალიზი

	2022	2021
გადავადებული აკვიზიციური ხარჯები წლის დასაწყისში	122	39
ცვლილება აკვიზიციურ ხარჯებში	(64)	83
გადავადებული აკვიზიციური ხარჯები წლის ბოლოს	58	122

11. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

წმინდა საპროცენტო შემოსავალი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2022	2021
საპროცენტო შემოსავალი დეპოზიტებიდან	998	815
საპროცენტო შემოსავალი გაცემული სესხებიდან	36	304
საპროცენტო შემოსავალი მიმდინარე ანგარიშიდან	97	63
საპროცენტო შემოსავალი თამასუქიდან	26	26
საპროცენტო ხარჯი	(2)	(3)
სულ საპროცენტო შემოსავალი	1,155	1,205

საპროცენტო ხარჯი წარმოადგენს საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებულ პროცენტს და შეადგენს 2 ლარს 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (3 ლარი 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის).

12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2022	2021
*საწევრო შენატანები	(224)	(211)
ხელფასი და სხვა სარგებელი	(55)	(76)
საზედამხედველო საფასური	(47)	(49)
აუდიტის ხარჯი	(25)	(27)
ცვეთის ხარჯი	(8)	(8)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(10)	(7)
ბონუსის ხარჯი	-	(5)
ბანკის ხარჯი	(2)	(2)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(371)	(385)

*კომპანია არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სავალდებულო დაზღვევის ცენტრის“ (შემდგომში „ცენტრი“) წევრი. ცენტრი დაარსდა სადაზღვევო სისტემაში მონაწილე 18 მზღვეველის მიერ სავალდებულო დაზღვევის სამართავად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, უცხო ქვეყნებში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელები/მძღოლები საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისთანავე ვალდებული იქნებიან, დააზღვიონ თავიანთი სამოქალაქო პასუხისმგებლობა საქართველოში გაჩერების პერიოდში. ცენტრის საქმიანობის ადგილია საქართველო და მისი მიზანია სავალდებულო დაზღვევასთან დაკავშირებით გაყიდვების და ზარალის რეგულირების პროცესების ადმინისტრირება. კომპანია ცენტრში მონაწილეობისთვის ახორციელებს ყოველთვიურ საწევრო შენატანებს.

13. მოგება საკურსო სხვაობიდან

საკურსო სხვაობის წმინდა შედეგი 2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2022	2021
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება	74	140
სადაზღვევო მოთხოვნები	66	101
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	34
სხვა ვალდებულებები	8	5
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	(156)	(399)
სადაზღვევო მოთხოვნები	(148)	(202)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	(190)
სხვა ვალდებულებები	(8)	(7)
საკურსო სხვაობის წმინდა შედეგი	(82)	(259)

14. მოგების გადასახადი

კომპანიის მოგების გადასახადი მოიცავს მხოლოდ მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯს 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის და შეადგინა 356 ლარი და 568 ლარი, შესაბამისად. კომპანია არ აღიარებს გადავადებული მოგების გადასახადის აქტივს, რადგან მიაჩნია რომ ამ აქტივის გამოყენება ვერ მოხდება 2024 წლამდე. 2024 წლის 1 იანვრიდან სადაზღვევო კომპანიების მოგების გადასახადი გადადის ახალ მოდელზე, რომლის მიხედვითაც სხვაობა ფინანსურ მოგებასა და საადასახადო მოგებას შორის აღარ იქნება და შესაბამისად ვერ მოხდება გადავადებული გადასახადების გამოყენება.

31 დეკემბრის მდგომარეობით მოგების გადასახადის მიმდინარე და საკანონმდებლო განაკვეთების

სს სადაზღვევო კომპანია ტაო
ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

გათვალისწინებით ხარჯის შედარება შემდეგია:

	<i>2022</i>	<i>2021</i>
მოგება დაბეგვრამდე	2,733	3,559
კანონით დადგენილი საგადასახადო განაკვეთი	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი კანონმდებლობით		
გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთით	410	534
(დაუბეგრავი შემოსავალი)/არაგამოქვითვადი ხარჯები	(54)	34
მოგების გადასახადის ხარჯი	356	568

15. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია როგორც ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში და შეადგინა 539 ლარი და 661 ლარი, შესაბამისად. ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე კლასიფიცირებულია როგორც არასაარისკო.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მიმდინარე	240	299
შემნახველი	299	362
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	539	661

16. მოთხოვნები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ

მოთხოვნები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
საბანკო დეპოზიტები	8,303	7,743
საბანკო დეპოზიტების მისაღები პროცენტი	1,031	557
სულ მოთხოვნები საკრედიტო ინსტიტუტებიდან	9,334	8,300

საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ მოთხოვნების მიმდინარე წილი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 7,580 ლარს (2021 წლის 31 დეკემბრისთვის: 3,883 ლარი).

31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო დეპოზიტები მოიცავს შემდეგს:

	2022	2021
სს „კრედო ბანკი“	2,900	2,800
სს „საქართველოს ბანკი“	3,500	2,500
სს „თიბისი ბანკი“	1,903	1,943
სს „ვითიბი ბანკი“	-	500
სულ საბანკო დეპოზიტები	8,303	7,743

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ წარმოდგენილია როგორც გრძელვადიანი, ასევე მოკლევადიანი დეპოზიტების სახით და

სს სადაზღვევო კომპანია ტაო
ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

ერიცხება წლიური 10,75%-დან 14,1%-მდე. ინფორმაცია დეპოზიტებიდან საპროცენტო შემოსავალზე მოცემულია მე-12 შენიშვნაში.

17. სადაზღვევო მოთხოვნები

სადაზღვევო მოთხოვნები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სახმელეთო ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევიდან(ავტოკასკო)	1,322	1,945
ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა	172	61
სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	106	-
სხვა	-	4
გაუფასურების რეზერვი	(77)	(73)
სულ სადაზღვევო მოთხოვნები	1,523	1,937

გაუფასურების რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილია ქვემოთ:

	გაუფასურების რეზერვი
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	103
დარიცხვა პერიოდის განმავლობაში	10
აღდგენა პერიოდის განმავლობაში	(40)
ჩამოწერა	-
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2021	73
დარიცხვა პერიოდის განმავლობაში	31
აღდგენა პერიოდის განმავლობაში	(26)
ჩამოწერა	-
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(1)
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	77

სს სადაზღვევო კომპანია ტაო
ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

18. სხვა აქტივები

დებიტორული და სხვა მოთხოვნები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მოთხოვნები რეგრესიდან	1,969	1,872
ზარალის შედეგად დაზიანებული აქტივები	85	134
მოთხოვნა გადარჩენილი ქონების რეალიზაციიდან	78	100
სხვა მოთხოვნები	2	1
მოგების გადასახადის მიმდინარე აქტივი	274	-
რეგრესიდან არსებული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(1,969)	(1,872)
სულ დებიტორული და სხვა მოთხოვნები	439	235

გაუფასურების რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილია ქვემოთ:

	რეგრესიდან არსებული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	სულ
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	1,159	-	1,159
დარიცხვა პერიოდის განმავლობაში	767	-	767
აღდგენა პერიოდის განმავლობაში	(54)	-	(54)
ბალანსი 31 დეკემბერი 2021	1,872	-	1,872
დარიცხვა პერიოდის განმავლობაში	228	-	228
აღდგენა პერიოდის განმავლობაში	(131)	-	(131)
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	1,969	-	1,969

19. გაცემული სესხები

გაცემული სესხები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
გაცემული სესხები	-	424
გაცემულ სესხებზე მისაღები პროცენტები	-	-
სულ გაცემული სესხები	-	424

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს სესხი გაცემული.

20. სხვა ფინანსური აქტივები

სხვა ფინანსური აქტივები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
თამასუფი	200	200
თამასუფე მისაღები პროცენტი	-	-
სულ სხვა ფინანსური აქტივები	200	200

სს სადაზღვევო კომპანია ტაო
ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა ფინანსური აქტივები წარმოდგენილია მიკროსაფინანსო ორგანიზაციისგან მიღებული ერთწლიანი თამასუქის სახით, რომელსაც ერიცხება წლიური 14% და გადახდის ვადაა 3 ოქტომბერი, 2023. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური აქტივები წარმოდგენილია მიკროსაფინანსო ორგანიზაციისგან მიღებული ერთწლიანი თამასუქის სახით, რომელსაც ერიცხება წლიური 13% და გადახდის ვადა იყო 28 სექტემბერი, 2022. თამასუქის მფლობელს არ შეუძლია თანხის გატანა თამასუქის მოქმედების ვადის განმავლობაში.

21. წინასწარ გადახდები

წინასწარ გადახდები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
საწევრო შენატანის წინასწარ-გადახდა	58	78
წინასწარ გადახდილი ხელფასი	-	6
სხვა წინასწარ გადახდები	29	28
სულ წინასწარ გადახდები	87	112

22. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სხვა ფინანსური ვალდებულებები	260	425
გადასახდელი საკომისიოები	195	357
სავაჭრო ვალდებულებები	65	68
ასანაზღაურებელი ზარალები	-	0
საგადასახადო ვალდებულებები	82	92
მიმდინარე მოგების გადასახადი	-	8
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	82	84
სულ სხვა ვალდებულებები	342	517

23. ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან

ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
გამოუმუშავებელი პრემიები	1,220	1,883
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალები	627	475
დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალები	47	43
სულ ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან	1,894	2,401

სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულება

ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულების საერთო მოცულობა კომპანიის ყველაზე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებაა. არსებობს

სს სადაზღვევო კომპანია ტაო
ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

უზუსტობის რამდენიმე მიზეზი, რის გათვალისწინებაც აუცილებელია კომპანიის მიერ ამ ბარალის ასანაზღაურებლად გადახდილი ვალდებულების შეფასებისას.

შეფასებები უნდა გაკეთდეს ერთობლივად, ანგარიშგების თარიღისთვის გაცხადებული ბარალის მოსალოდნელი ოდენობისა და ანგარიშგების თარიღისთვის მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ბარალის მოსალოდნელი საერთო მოცულობის შესახებ. ბარალის საერთო მოცულობის ზუსტად დადგენას შეიძლება გარკვეული დრო დასჭირდეს. ზოგად დაზღვევასთან დაკავშირებული ბარალის რეზერვის დისკონტირება არ ხდება ფულის დროითი ღირებულების გასათვალისწინებლად.

რეზერვების საბოლოო ღირებულების გამოთვლა ხდება ე. წ. ჯაჭვისებური კიბის მეთოდით. ამ მეთოდის ძირითადი საფუძველია ის დაშვება, რომ კომპანიის წარსულში დაგროვილი ბარალის დინამიკის გამოყენება შესაძლებელია სამომავლო ბარალის დინამიკისა და, შესაბამისად, ბარალის მთლიანი მოცულობის პროგნოზირებისთვის. ეს მეთოდი პროგნოზისთვის ახდენს გადახდილი და მომხდარი ბარალის, თითოეული მოთხოვნის საშუალო მოცულობისა და მოთხოვნების რაოდენობის ექსტრაპოლაციას გასული წლის ყოველთვიურ ტენდენციებზე და ასევე მოსალოდნელი ბარალის კოეფიციენტებზე დაყრდნობით.

ბრუტო გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის მოძრაობის ანალიზი:

	2022	2021
1 იანვრის მდგომარეობით	1,883	2,051
მოზიდული პრემია	4,071	4,697
გამომუშავებული პრემია	(4,734)	(4,865)
31 დეკემბრის მდგომარეობით	1,220	1,883

განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ბარალების რეზერვი სადაზღვევო პროდუქტების მიხედვით:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სახმელეთო ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (ავტოკასკო)	534	439
ავტომოტორანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა	85	28
სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	8	8
31 დეკემბრის მდგომარეობით	627	475

მოსალოდნელი ბარალის შეფასების მეთოდი (ე. წ. სამკუთხედის მეთოდი)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია გარკვეული დროის განმავლობაში ბარალების მოცულობის განვითარება.

ცხრილი ასახავს როგორც გაცხადებული ბარალების, ისე მომხდარი, მაგრამ ჯერ განუცხადებელი ბარალების რეზერვებს და კუმულაციურ გადახდებს.

ცხრილებში პროგნოზირებული ბარალები გადაყვანილია ლარში ბარალის დადგომის წლის ბოლოსთვის მოქმედი სავალუტო კურსით.

2019	2020	2021	2022	სულ
------	------	------	------	-----

სს სადაზღვევო კომპანია ტაო
ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

ზარალის დადგომის წელიწადი	3,458	2,844	3,604	2,595	
ერთი წლის შემდეგ	4,303	2,440	3,669	-	
ორი წლის შემდეგ	3,151	2,431	-	-	
სამი წლის შემდეგ	3,142	-	-	-	
დამდგარი კუმულაციური ზარალის მიმდინარე შეფასება	3,142	2,431	3,669	2,595	11,815
ზარალის დადგომის წელიწადი	(1,945)	(2,148)	(3,133)	(2,047)	
ერთი წლის შემდეგ	(2,699)	(2,428)	(3,547)	-	
ორი წლის შემდეგ	(3,139)	(2,428)	-	-	
სამი წლის შემდეგ	(3,141)	-	-	-	
კუმულაციური გადახდები დღევანდელ თარიღამდე	(3,141)	(2,428)	(3,547)	(2,047)	(11,163)
მთლიანი აუნაზღაურებელი ზარალის რეზერვი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშების მიხედვით	1	3	122	548	674

24. სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალი შედგება 2,500,000 ცალი ჩვეულებრივი აქციისაგან, თითოეულის ნომინალური ღირებულებაა ერთი ლარი (არაა მოცემული ათასებში). 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“.

გაუნაწილებელი მოგება წარმოადგენს კომპანიის საკუთრებაში დარჩენილი წმინდა მოგების ნაწილს, რომელიც გაუნაწილებელია. 2022 წლის დეკემბერში კომპანიამ გამოაცხადა და გასცა 2021 წლის მოგებიდან დივიდენდის სახით 1,500 ლარი, (2021 წ: 5,500 ლარი).

25. პირობითი ვალდებულებები

იურიდიული საკითხები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა აღიძრას სარჩელები. ხელმძღვანელობას გონივრულობის ფარგლებში მიაჩნია, რომ ამ სარჩელებიდან გამომდინარე საბოლოო ვალდებულებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო ფუნქციონირებაზე. სადაზღვევო პოლისებთან დაკავშირებული იურიდიული სარჩელებისა და პრეტენზიების გათვალისწინება ხდება შესაბამისი ტექნიკური რეზერვის შექმნისას.

გადასახადები

საკმაოდ ხშირად ხდება საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის არაერთგვაროვანი განმარტება და ცვლილება. ხელმძღვანელობის მიერ ამგვარი ნორმების განმარტებები, რომლებიც გამოიყენება კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით, შესაძლებელია ეჭვქვეშ დააყენონ შესაბამისმა რეგიონულმა და სახელმწიფო სამსახურებმა. საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში საგადასახადო ორგანოებს სულ უფრო მკაცრი პოზიცია უჭირავთ და ამის გამო შეიძლება ის ოპერაციები და საქმიანობა, რომლებიც წარსულში ეჭვქვეშ არ დამდგარა, ახლა სადავო გახდეს. ამის გამო კომპანიას შეიძლება დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. პრაქტიკული არ იქნება შესაძლო დაუმუსტრებელი ზარალის ოდენობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან მათი უარყოფითი შედეგების ალბათობის განსაზღვრა. სახელმწიფო ორგანოებს

25. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამონმონ ფისკალური პერიოდები, კერძოდ - შემონმების წლიდან წინა სამი კალენდარული წელი. ზოგ შემთხვევაში შემონმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისებური განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები დარჩება უცვლელად.

26. რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვაგვარ რისკებთან. ამიტომ რისკების მართვა წარმოადგენს მისი სადაზღვევო საქმიანობის მნიშვნელოვან კომპონენტს. რისკი წარმოადგენს კომპანიის საქმიანობის განუყოფელ ნაწილს, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რისკის მუდმივი განსაზღვრის, შეფასების და ყოველდღიური მონიტორინგის პროცესის მეშვეობით რისკების ლიმიტის და სხვა კონტროლის გათვალისწინებით. კომპანიაში მომუშავე ყოველი ადამიანი პასუხისმგებელია იმ რისკებზე, რომლებსაც მოიცავს მისი საქმიანობა. კომპანიის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი ფინანსური რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო. ქვემოთ მოცემულია კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა ამ რისკებთან მიმართებაში.

მართვის სტრუქტურა

კომპანიის რისკების და ფინანსური მართვის სტრუქტურის ძირითადი მიზანია კომპანიის დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც ხელს უშლის მის მიერ დასახული მიზნების მდგრად მიღწევას, მათ შორის მოიაზრება შესაძლებლობების გამოუყენებლობა. კომპანია აღიარებს რისკების მართვის ქმედითი და ეფექტური სისტემის არსებობის კრიტიკულ მნიშვნელობას.

კომპანიამ შექმნა რისკების მართვის ფუნქცია დირექტორთა საბჭოს უფლებამოსილების ფარგლებში. დირექტორთა საბჭო ახორციელებს ხელმძღვანელობის შესაბამისი წევრების მიმართ რისკების მართვის დადგენილი პოლიტიკის აღსრულების ზედამხედველობაზე პასუხისმგებლობის დელეგირებას.

დირექტორთა საბჭო ამტკიცებს კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკას და ატარებს რეგულარულ შეხვედრებს ასეთი პოლიტიკის ნებისმიერი კომერციული, მარეგულირებელი და საკუთარი ორგანიზაციული მოთხოვნების დასამტკიცებლად. პოლიტიკა განსაზღვრავს კომპანიის მიერ რისკის იდენტიფიკაციას და მის ინტერპრეტაციას, ლიმიტის სტრუქტურას, რათა უზრუნველყოს აქტივების შესაბამისი ხარისხი და დივერსიფიკაცია, სადაზღვევო და გადაზღვევის სტრატეგიის შესაბამისობა კორპორაციულ მიზნებთან და მიუთითებს ანგარიშგების მოთხოვნებს.

26.1 სადაზღვევო რისკი

სადაზღვევო ხელშეკრულების რისკი არის რისკი, რომ დადგება გაურკვეველი ოდენობის და ვადის სადაზღვევო შემთხვევა. ძირითადი რისკი, რომელიც დგას კომპანიის წინაშე ასეთი ხელშეკრულებების პირობებში არის ის, რომ ფაქტობრივი ზარალები აღემატება სადაზღვევო ვალდებულებების საბალანსო ოდენობას. ამაზე გავლენას ახდენს ზარალების სიხშირე, ზარალების სიმძიმე, ფაქტობრივად გადახდილი ანაზღაურება მეტია თავდაპირველად შეფასებულზე და შემდგომ გრძელვადიანი ზარალების განვითარება.

რისკების ცვალებადობის გაუმჯობესება ხდება ზარალის რისკის დივერსიფიკაციით სადაზღვევო ხელშეკრულებების დიდ პორტფელზე, ვინაიდან, რაც უფრო მეტად დივერსიფიცირებულია პორტფელი, მით ნაკლებად სავარაუდოა საერთო ზეგავლენა პორტფელის რაიმე ნაწილის ცვლილების გამო, ასევე, მოულოდნელი შედეგები. რისკების ცვალებადობის გაუმჯობესება ასევე ხდება

26. რისკების მართვა (გაგრძელება)

სადაზღვევო სტრატეგიისა და ხელმძღვანელი მითითებების ფრთხილად შერჩევითა და განხორციელებით.

სადაზღვევო რისკების მონიტორინგისთვის კომპანია ძირითადად იყენებს ბარალიანობისა და კომბინირებულ კოეფიციენტებს: ბარალიანობის კოეფიციენტი მიიღება წმინდა სადაზღვევო მოთხოვნების შეფარდებით წმინდა სადაზღვევო ამონაგებთან. კომბინირებული კოეფიციენტი წარმოადგენს ბარალიანობის და ხარჯების კოეფიციენტების ჯამს. ხარჯების კოეფიციენტი განისაზღვრება, როგორც საოპერაციო ხარჯები, წმინდა საპროცენტო შემოსავლისა და საკურსო ბარალის გამოკლებით, შეფარდებული წმინდა სადაზღვევო ამონაგებთან. კომპანიის ბარალიანობისა და კომბინირებული კოეფიციენტები გამოითვლება ნეტოს საფუძველზე შემდეგნაირად:

	<i>2022</i>	<i>2021</i>
ბარალიანობის კოეფიციენტი	54%	34%
კომბინირებული კოეფიციენტი	65%	46%

ძირითადი დაშვებები

ბარალის რეზერვი იქმნება ვალდებულებების შესრულების საერთო ხარჯის დასაფარად იმ ბარალთან მიმართებაში, რომელიც მომხდარი და შეფასებულია ანგარიშგების დღისთვის ცნობილ ფაქტებზე, მათ შორის პოტენციური ასანაზღაურებელი ბარალის შეტყობინებებსა, ანალოგიური ბარალის გამოცდილებასა და პრეცედენტული პრაქტიკაზე დაყრდნობით, საანგარიშგებო თარიღით და საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

კომპანიამ გამოიყენა ყველა შესაძლო და მის ხელთ არსებული ინფორმაცია პოლისების მფლობელთა მიერ გაცხადებული ბარალის რეზერვების, მათ შორის ბარალების დაკორექტირების ხარჯების შესაფასებლად, სადაზღვევო ხელშეკრულებების თითოეული კლასის მიხედვით. გარდა ამისა, უფრო მსხვილი გაცხადებული ბარალი ჩვეულებრივ, ცალ-ცალკე ფასდება ბარალის მაკორექტირებელი ფაქტორებით. ბარალის პროგნოზირების დაშვებები, ჩვეულებრივ, მიზნად ისახავს წარმოადგინოს ყველაზე დიდი ალბათობის მქონე ან მოსალოდნელი შედეგების მაქსიმალური შესაძლო სიზუსტით შეფასება.

ძირითადი დაშვება, რომელსაც ეყრდნობა შეფასებები არის ის, რომ კომპანიის წარსულში მიღებული და სამომავლო ბარალის დინამიკის გამოყენება შესაძლებელია სამომავლო ბარალის ტენდენციებისა და, შესაბამისად, ბარალის მთლიანი მოცულობის პროგნოზირებისთვის. ეს მეთოდი ახდენს გადახდილი და მომხდარი ბარალის ტენდენციების ექსტრაპოლაციას, წინა წლების ტენდენციებზე დაკვირვების შედეგად მიღებულ დასკვნებზე დაყრდნობით. წარსული ბარალის ტენდენციების გაანალიზება ხდება ბარალის დადგომის წლებისა და ასევე საქმიანობის ძირითადი მიმართულებების მიხედვით. ტექნიკური რეზერვები მოზიდული დაზღვევის შემთხვევაში მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სავალუტო კურსის მერყეობაზე, რადგანაც ამ ხელშეკრულებების სადაზღვევო ვალდებულებები აშშ დოლარშია გამოხატული.

მგრძობელობა

ზოგადი სადაზღვევო ბარალების რეზერვი მგრძობიარეა ზემოაღნიშნული ძირითადი დაშვებების მიმართ. იმ დაყოვნების გამო, რასაც ადგილი აქვს ბარალის დადგომასა და მის შემდგომ შეტყობინებასა და საბოლოო ანაზღაურებას შორის, აუნაზღაურებელი ბარალის რეზერვი საანგარიშგებო თარიღისთვის ზუსტად არ არის ცნობილი. ყველაზე მნიშვნელოვანი რისკები წარმოიშობა ბარალის სიხშირისა და მოცულობის ცვლილებების შედეგად - მოთხოვნების რაოდენობა და მოთხოვნის საშუალო თანხა ის ძირითადი ამოსავალი მონაცემებია, რომლებიც გამოიყენება ავტორანსპორტის რისკების დაზღვევისთვის რეზერვის შექმნისთვის. ავტორანსპორტის დაზღვევის

26. რისკების მართვა (გაგრძელება)

რეზერვი საკმაოდ მგრძობიარეა ლარის გაუფასურებისა და სავალუტო რისკის მიმართ, რადგან ავტომატური შევსების დანახარჯების დიდი ნაწილი უცხოურ ვალუტებზეა მიბმული.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ზოგადი დაზღვევის ტექნიკური რეზერვების კონცენტრაცია ხელშეკრულებების ტიპების მიხედვით.

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სახმელეთო ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (ავტოკასკო)	1,407	2,037
ავტომოტორტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა	322	170
სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	93	172
სხვა	72	22
სულ	1,894	2,401

სადაზღვევო რისკის მართვა

ზემოთ აღნიშნული რისკის დონე მცირდება სადაზღვევო კონტრაქტების პორტფელის დივერსიფიკაციით. რისკი ნეიტრალდება ასევე ანდერრაიტინგის სტრატეგიის ფრთხილი შერჩევითა და დანერგვით, რომელიც უზრუნველყოფს რისკების დაყოფას სახეობებისა და სადაზღვევო თანხების მიხედვით. ეს მიიღწევა ინდუსტრიების მიხედვით დაყოფის გზით. გარდა ამისა, ზარალის განხილვის მკაცრი პოლიტიკა ყველა ახალი და მიმდინარე ზარალის შესაფასებლად, ზარალების დარეგულირების პროცედურების რეგულარული დეტალური განხილვა და შესაძლო თაღლითური ზარალების ხშირი გამოძიება წარმოადგენს კომპანიის რისკების დონის შემცირების პროცედურებს. კომპანია იყენებს ასევე ზარალების მართვისა და დარეგულირების პოლიტიკას, რათა შეამციროს მომავალი გაუთვალისწინებელი მოვლენების უარყოფითი გავლენა მის საქმიანობაზე.

განუსაზღვრელობების საფუძველი მომავალში ასანაზღაურებელი ზარალების შეფასებისას

სადაზღვევო გარიგებებთან დაკავშირებული ზარალების გადახდის ვალდებულება წარმოიშობა მათი ფაქტიურად მოხდენის მომენტში. არსებობს რამდენიმე ცვლადი, რომელიც გავლენას ახდენს სადაზღვევო გარიგებების შედეგად წარმოშობილი ფულადი ნაკადების მოცულობასა და დროულობაზე. ეს განუსაზღვრელობები ძირითადად უკავშირდება დაზღვეული სექტორის თანდაყოლილ, შიდა რისკს და კომპანიის მიერ მიღებულ და განხორციელებულ რისკის მართვის პროცედურებს. ზარალების შეფასებული ღირებულება მოიცავს ზარალების დაფარვისთვის საჭირო პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც შემცირებულია მესამე მხარის მიერ გადასახდელი თანხებით. კომპანია ყველანაირად ცდილობს, დარწმუნდეს, რომ მას გააჩნია საკმარისი ინფორმაცია სადაზღვევო ზარალების წარმოშობის შესახებ. სადაზღვევო გარიგებებთან დაკავშირებული ვალდებულება მოიცავს მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვს, და განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვს.

მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის შეფასება, როგორც წესი, დაკავშირებულია მთელ რიგ განუსაზღვრელობებთან, განსხვავებით იმ ზარალების ღირებულების შეფასებისგან, რომელთა შესახებაც კომპანიას ინფორმაცია აქვს.

ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია შეფასებულ ზარალებს ტესტავს ადეკვატურობაზე: კომპანია განსაზღვრავს, ზარალების შეფასებული ვალდებულებები არის თუ არა ნაკლები იმ საბალანსო

26. რისკების მართვა (გაგრძელება)

ღირებულებაზე, რომელიც მოთხოვნილი იქნებოდა, თუ შესაბამისი სადაზღვევო ვალდებულებები მოხვდებოდა ბასს 37-ის *ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები* მოქმედების სფეროში, თუ შეფასებული ვალდებულებები ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად შექმნილ ანარიცხებზე ნაკლები აღმოჩნდა, მაშინ კომპანია მთელ უკმარ თანხას აღიარებს მოგება-ზარალში და გაზრდის შესაბამისი სადაზღვევო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას.

26.2 ფინანსური რისკები

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. კომპანია ექვემდებარება მხოლოდ სავალუტო რისკს საბაზრო რისკის ძირითადი სამი კომპონენტიდან.

აღნიშნული რისკების ეფექტური მართვისთვის, კომპანია ეყრდნობა შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- საპროცენტო განაკვეთის, სავალუტო და საფასო რისკების მინიმიზაცია ყველა სახის ტრანზაქციებზე;
- „ბუნებრივი ჰეჯირების“ მაქსიმალური გამოყენება შემოსავლების და ხარჯების, მოთხოვნების და ვალდებულებების ერთ ვალუტაში დენომინირების მცდელობით. ანალოგიური სტრატეგია გამოიყენება საპროცენტო განაკვეთის რისკთან მიმართებაში;
- ფინანსური რისკების მართვის ღონისძიებები ხორციელდება გონივრულად და თანმიმდევრულად, ბაზრის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფინანსური აქტივები		
მოთხოვნები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	9,334	8,300
გაცემული სესხები	-	424
სადაზღვევო მოთხოვნები	1,523	1,937
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	539	661
სხვა ფინანსური აქტივები	200	200
სულ ფინანსური აქტივები	11,596	11,522

26. რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები		
ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან	1,894	2,401
სხვა ვალდებულებები	342	517
საიჯარო ვალდებულება	19	32
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,255	2,950
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	9,341	8,572

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი გვიჩვენებს სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების ანალიზს 1-დან 3-მდე იერარქიის დონის მიხედვით:

2022 წელი	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	539			539
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ		9,334		9,334
წმინდა გაცემული სესხები (გ/შ 18)				-
სხვა ფინანსური აქტივები		200		200
სულ ფინანსური აქტივები	539	9,534	-	10,073

25.2 ფინანსური რისკები (გაგრძელება)

2021 წელი	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	661			661
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ		8,300		8,300
წმინდა გაცემული სესხები (გ/შ 18)			424	424
გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები		200		200
სულ ფინანსური აქტივები	661	8,500	424	9,585

26. რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი

კომპანია აკონტროლებს საკრედიტო რისკს მხოლოდ სანდო კონტრაგენტებთან ურთიერთობით. არ არსებობს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი:

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მოთხოვნები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	16	9,334	8,300
სადაზღვევო მოთხოვნები	17	1,523	1,937
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	15	539	661
გაცემული სესხები	19	-	424
სხვა ფინანსური აქტივები	20	200	200
სულ ფინანსური აქტივები, დაკავშირებული საკრედიტო რისკთან		11,596	11,522

ლიკვიდურობის რისკი - ვადიანობის ანალიზი

კომპანია მართავს ლიკვიდურობის რისკს მოსალოდნელი გადახდის ვადების საფუძველზე.

ლიკვიდურობის პოზიცია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაჩვენებია ქვემოთ:

31 დეკემბერი 2022	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	> 5 წელი	სულ
ფინანსური აქტივები				
მოთხოვნები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	7,580	1,754	-	9,334
გაცემული სესხები	-	-	-	-
სადაზღვევო მოთხოვნები	1,523	-	-	1,523
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	539	-	-	539
სხვა ფინანსური აქტივები	200	-	-	200
სულ ფინანსური აქტივები	9,842	1,754	-	11,596
ფინანსური ვალდებულებები				
ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან	1,894	-	-	1,894
სხვა ვალდებულებები	342	-	-	342
საიჯარო ვალდებულება	9	10	-	19
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,245	10	-	2,255
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	7,597	1,744	-	9,341

სს სადაზღვევო კომპანია ტაო
ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

26. რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის პოზიცია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაჩვენებია ქვემოთ:

31 დეკემბერი 2021	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	> 5 წელი	სულ
ფინანსური აქტივები				
მოთხოვნები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	3,884	4,416	-	8,300
გაცემული სესხები	424	-	-	424
სადაზღვევო მოთხოვნები	1,937	-	-	1,937
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	661	-	-	661
სხვა ფინანსური აქტივები	200	-	-	200
სულ ფინანსური აქტივები	7,106	4,416	-	11,522
ფინანსური ვალდებულებები				
ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან	2,401	-	-	2,401
სხვა ვალდებულებები	517	-	-	517
საიტარო ვალდებულება	15	17	-	32
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,933	17	-	2,950
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	4,173	4,399	-	8,572

კომპანია თვლის, რომ გადაიხდის ყველა ვალდებულებას საკონტრაქტო ვადაში. ამისათვის კომპანია ელოდება საკმარის ფულად ნაკადებს საოპერაციო საქმიანობიდან.

სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და მათ გადადგეს გარკვეული ნაბიჯები სავალუტო რისკის შესამცილებლად.

ფინანსური აქტივები ვალუტის მიხედვით:

	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	660	1	-	661
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებებისადმი	8,300	-	-	8,300
წმინდა გაცემული სესხები (გ/შ 18)	424	-	-	424
ვადადამდგარი სადაზღვევო პრემიის მოთხოვნა	1,062	865	10	1,937
გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები	200	-	-	200
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	10,646	866	10	11,522
ფული და ფულის ეკვივალენტები	538	1	-	539
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებებისადმი	9,334	-	-	9,334
წმინდა გაცემული სესხები (გ/შ 18)	-	-	-	-
ვადადამდგარი სადაზღვევო პრემიის მოთხოვნა	944	472	107	1,523
გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები	200	-	-	200
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	11,016	473	107	11,596

26. რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები ვალუტის მიხედვით:

	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან	2,306	95	-	2,401
სხვა ვალდებულებები	517	-	-	517
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	2,823	95	-	2,918
ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან	1,772	122	-	1,894
სხვა ვალდებულებები	342	-	-	342
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	2,114	122	-	2,236

27. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები

კაპიტალის მართვის ძირითადი მიზანია მუდმივად განახორციელოს კომპანიის წინაშე არსებული რისკების შესაბამისი, კაპიტალის სათანადო დონის მონიტორინგი და უზრუნველყოს მისი შენარჩუნება. კომპანიის კაპიტალის მართვის ძირითადი მიზნებია:

- „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ (შემდგომში „ზედამხედველობის სამსახური“) მოთხოვნებთან შესაბამისობა;
- ვადადამდგარი სადაზღვევო ვალდებულებების დასაფარად მიღებული აქტივების შედგენისა და სტრუქტურის უზრუნველყოფა და მარეგულირებელი მოთხოვნების გადაჭარბება; და
- კომპანიის სტაბილურობის მოთხოვნილი დონის უზრუნველყოფა პოლისის მფლობელების უსაფრთხოების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით.

კომპანიის ინტერესში შედის კაპიტალის ადეკვატური რესურსების უზრუნველყოფა ნებისმიერ დროს და შესაბამისი ნომინალური მარეგულირებელი კაპიტალის მოთხოვნების შესრულება. კომპანიას ტრადიციულად გააჩნია კაპიტალის ძალიან კარგი რესურსი. ამ კარგი კაპიტალის ბაზის შენარჩუნება ასევე მნიშვნელოვანია კომპანიის მომავალი მიზნებისთვის, რათა გაზარდოს მომგებიანობა და უზრუნველყოფილ იყოს დიდი ზარალის მოვლენების ეფექტების შემსუბუქება.

კაპიტალის მონიტორინგის და მართვის ნაწილია კომპანიის ინვესტიციების და რისკების მართვის სტრატეგია, რომელიც ორიენტირებულია მუდმივად შენარჩუნდეს სახსრების მინიმალური დონე, რომელიც განთავსებულია წამყვან ქართულ ბანკებში. აქტივების სტრუქტურის კონტროლი ასევე ხორციელდება დამფუძნებლებისთვის მომზადებული და გაგზავნილი ყოველთვიური ანგარიშგებებით, რომელიც შეიცავს კომპანიის ფინანსური დირექტორის მიერ შემოწმებულ შესაბამის გაანგარიშებებს.

მარეგულირებელი მოთხოვნები:

- საქართველოში სადაზღვევო სექტორი რეგულირდება „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ. „ზედამხედველობის სამსახური“ სადაზღვევო კომპანიებს უწესებს მინიმალური კაპიტალის მოთხოვნას. აღნიშნული მოთხოვნის მიზანია სადაზღვევო კომპანიებმა უზრუნველყონ საკმარისი გადახდისუნარიანობის მარჯის ოდენობა.
- „ზედამხედველობის სამსახურის“ ბრძანების თანახმად, 2021 წლის 31 დეკემბრიდან მზღვეველისთვის სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 7,200 ლარზე (მოცემულია ათასებში) ნაკლები. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანების მიხედვით, საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა, სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე უნდა შეადგენდეს: ა) სიცოცხლის დაზღვევა: 7,200 ლარს - 2021 წლის 31 დეკემბრიდან; ბ) დაზღვევა (არა სიცოცხლის) - გარდა სავალდებულო ფორმის

27. კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

პასუხისმგებლობის დაზღვევისა, ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის და საკრედიტო ვალდებულებების დაზღვევისა: 4,800 ლარს - 2021 წლის 31 დეკემბრიდან, გ) დაზღვევა (არა სიცოცხლის) - სავალდებულო ფორმის პასუხისმგებლობის დაზღვევისა, ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის და საკრედიტო ვალდებულებების დაზღვევის ჩათვლით: 7,200 ლარს - 2021 წლის 31 დეკემბრიდან და დ) გადაზღვევა: 7,200 ლარს - 2021 წლის 31 დეკემბრიდან. თანხა განთავსებულ უნდა იქნას ნაღდი ფულის, ფულთან გათანაბრებული სხვა საშუალებების და ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრების სახით.

- კომპანია ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული საკუთარი კაპიტალის კორექტირებას, რათა მოხდეს საზედამხედველო კაპიტალის გაანგარიშება.
- კომპანია ახორციელებს კაპიტალის ოდენობის რეგულარულ მონიტორინგს, რათა გამორიცხოს მოთხოვნილი კაპიტალის დეფიციტი. იმისათვის, რომ კომპანიამ შეინარჩუნოს ან შეცვალოს

კაპიტალის სტრუქტურა, შესაძლებელია მოხდეს ცვლილება ან დივიდენდის ოდენობაში ან მოხდეს საკუთარი კაპიტალის გაზრდა.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, კომპანია სრულ შესაბამისობაში იყო კაპიტალის დადგენილ მოთხოვნებთან და წინა წელთან შედარებით არ ჰქონია ადგილი კაპიტალის მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკის, მიდგომების და პროცესების ცვლილებას.

საზედამხედველო კაპიტალი უნდა იყოს სულ მცირე გადახდისუნარიანობის მარჯის ოდენობა ან 7,200 ლარი (მოცემულია ათასებში) 2021 წლის 31 იანვრიდან პერიოდის განმავლობაში.

„საზედამხედველო კაპიტალი“ განისაზღვრება ევროკავშირის მიერ დადგენილი ფასს-ებით განსაზღვრული კაპიტალით, რომელიც კორექტირდება, მაგალითად, ინვესტიციებით შვილობილ ორგანიზაციებში ან მოკავშირე საწარმოებში, არაუზრუნველყოფილი და უზრუნველყოფილი სესხებით და ა.შ. „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ №16 დირექტივის შესაბამისად. 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია აკმაყოფილებს საზედამხედველო კაპიტალის და გადახდისუნარიანობის მარჯის მოთხოვნებს.

28. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომელიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

29. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

29. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები (გაგრძელება)

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

- ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.
- ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- დ) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- ვ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ინფორმაცია 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთებისა და ტრანზაქციების შესახებ

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

2022	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
აქტივები:		
გაცემული სესხები	-	-
სადაზღვევო მოთხოვნები	-	415
აქტივი გამოყენების უფლებით	12	-
სულ	12	415
ვალდებულებები:		
ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან	26	449
საიჯარო ვალდებულება	19	-
სულ	45	449
	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები	(45)	(392)
წმინდა ცვლილება სადაზღვევო ზარალების რეზერვებში	(20)	(32)
წმინდა ზარალები	(65)	(424)
წმინდა მოზიდული პრემია ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში	15	410
წმინდა გამოუმუშავებული პრემია	18	536
		36
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	(2)	

29. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები (გაგრძელება)

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

2021	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
აქტივები:		
გაცემული სესხები	-	424
სადაზღვევო მოთხოვნები	6	480
აქტივი გამოყენების უფლებით	19	-
სულ	25	904
ვალდებულებები:		
ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან	9	556
საიჯარო ვალდებულება	32	-
სულ	41	556
	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები	-	(517)
წმინდა ცვლილება სადაზღვევო ზარალების რეზერვებში	-	41
წმინდა ზარალები	-	(475)
წმინდა მოზიდული პრემია	22	591
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში	(3)	(206)
წმინდა გამოუმუშავებული პრემია	19	382
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	(3)	304

30. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.